COVID19 პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენის შემცირება

ინტერესის გამოხატვა ადგილობრივი (სათემო) ინიციატივების მხარდასაჭერად COVID19-ის გავლენის საპასუხოდ

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისათვის

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2022 წლის 15 აპრილი

ქეა კავკასია
2022

ნაწილი 1: ქეას შესახებ

ქეა მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საერთაშორისო არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაციაა, რომელიც სოციალურად და ეკონომიკურად დაუცველ ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი და თავად გადაჭრან თემში არსებული პრობლემები. **ქეა კავკასია** 30 წელზე მეტია მუშაობს სამხრეთ კავკასიის ტერიტორიულ ერთეულებში აღნიშნული მისიის განსახორციელებლად. ქეა ისწრაფვის ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ, სადაც სიღარიბე დაძლეულია და ხალხი ღირსეულად და უსაფრთხოდ ცხოვრობს.

ნაწილი 2: პროექტის შესახებ

ამჟამად ქეა კავკასია ახორციელებს პროექტს COVID19 პანდემიის ნეგატიური ზეგავლენის შესამცირებლად საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სოფლად მცხოვრები თემების მხარდაჭერა, კერძოდ კი გოგონებისა და ქალების.

COVID19-ის გავრცელებით გამოწვეულმა კრიზისმა გაამწვავა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა. გაზარდა უარყოფითი ზეგავლენა დაუცველ ჯგუფებზე. ქეას გენდერული ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ პანდემიამ გააუარესა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა და შემცირდა ქალების პირადი შემოსავალი, რაც განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებს შეეხო. ქალები და გოგოები დადგნენ ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორიცაა ნაკლები ხელმისაწვდომობა უსაფრთხო ჯანდაცვაზე, განსაკუთრებით კი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე. შეზღუდვების შედეგად გაიზარდა გენდერული და ოჯახური ძალადობის შედეგები, რაც საბოლოოდ მძიმედ აისახა სტრესის მომატებულ დონეზე, განსაკუთრებით კი ქალებში. გარდა ამისა, უარყოფითი გავლენა მოახდინა ბავშვების ჩართულობაზე განათლების პროცესში, რაც გამოწვეულია ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური უნარების ნაკლებობით.

COVID19 პანდემიის კრიზისმა გამოავლინა, რომ სათემო და ადგილობრივი ორგანიზაციები პირველი რეაგირებენ კრიზისის დროს და სწორედ ამიტომ მათ განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ. სწორედ ამიტომ, სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერა ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს COVID19-ის უარყოფითი შედეგების შემცირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საჭიროებების გადასაჭრელად.

COVID19 რეაგირების პროექტის ფარგლებში ქეა კავკასია აცხადებს მცირე საგრანტო კონკურსს ადგილობრივი სათემო ინიციატივებისა და იდეების მხარდასაჭერად. პროექტი ითვალისწინებს 15-24 წლამდე გოგონებისა და ქალების, როგორც სამიზნე პოპულაციის, საჭიროებების გამოვლენას და ფოკუსირებული იქნება ამ საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

ქეა კავკასია იწვევს ახალგაზრდებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს და საინიციატივო ჯგუფებს ინტერესის გამოხატვისთვის წინადადების წარსადგენად. (ინსტრუქციები და შეფასების სისტემა იხ. დანართი 1)

გაითვალისწინეთ, რომ განმცხადებელი უშუალოდ უნდა იღებდეს პასუხისმგებლობას საქმიანობის დაგეგმვაზე, მომზადებასა და მართვაზე, და არ უნდა ახორციელებდეს შუამავლის როლს.

სამიზნე მიმართულებები შესაძლებელია მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი საქმიანობებით:

- COVID19-თან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის (მათ შორის ვაქცინაციის ეფექტურობა და უსაფრთხოება) გავრცელება და ცნობიერების ამაღლება სამიზნე პოპულაციაში სხვადასხვა ღონისძიებების და კამპანიების საშუალებით;
- ონლაინ რესურსებზე/ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- დისტანციური სწავლების/მუშაობისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესება და ა.შ;
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- ქალების მხარდაჭერა კრიზისული სიტუაციების მართვის აუცილებელი ცოდნით, უნარებითა და რესურსებით აღჭურვა.

* სკოლის მოსწავლე გოგოებსა და სტუდედენტებს შორის ცნობიერების მაქსიმალურად გაზრდის მხარდაჭერის მიზნით **პრიორიტეტი მიენიჭება** ისეთ პროექტებს, რომელიც ფოკუსირებულია სკოლებსა და უნივერსიტეტებთან თანამშრომლობაზე.

გეოგრაფიული არეალი
კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები.

ნაწილი 3: იდეების შერჩევის პროცესი

გამოვლენილი იდეების შერჩევა განხორციელდება ქეას გუნდისა წევრებისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული და მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

პირველ ეტაპზე იდეის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება იდეის წარდგენის სტანდარტული ფორმის მიხედვით (იხ. დანართი 2)

მეორე ეტაპზე ქეა დაუკავშირდება შერჩეულ ორგანიზაციებს, რომელთაც დამატებით მოეთხოვებათ შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

- ორგანიზაციის რეგისტრაციის დოკუმენტი;
- საინიციატივო ჯგუფის შემთხვევაში ჯგუფის წევრების შესახებ ინფორმაცია.

გთხოვთ, გაითვალისწინეთ! განაცხადის წარმოდგენა არ გულისხმობს, რომ იდეა ავტომატურად იქნება დაფინანსებული.

დანართი 1 : ინსტრუქციები და შეფასების სისტემა

ვის შეუძლია იდეის წარმოდგენა

- ❖ იდეის წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას ან საინიციატივო ჯგუფს, რომელიც საქმიანობას ეწევა კახეთის ან/და ქვემო ქართლის რეგიონებში და შეუძლია იმუშაოს ადგილობრივ ახალგაზრდებთან.

იდეის წარდგენისათვის აუცილებელი პირობები

- ❖ იდეა პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული უნდა იყოს COVID19 ნეგატიური ზეგავლენის შემცირებისკენ;
- ❖ იდეა მიმართული უნდა იყოს **სოფლად მცხოვრები** ახალგაზრდების**,** კერძოდ ახალგაზრდა გოგონებისა და ქალების (ასაკი 15-24 წელი), მათ შორის კონფლიქტების და/ან ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებულთა და სოციალურად დაუცველთა საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ;
- ❖ იდეის პირდაპირი მოსარგებლეების უმრავლესობას უნდა წარმოადგენდნენ ახალგაზრდა გოგონები. იდეის არაპირდაპირი მოსარგებლეები შესაძლებელია იყვნენ თემის სხვა წარმომადგენლები;
- ❖ წარმოდგენილი იდეის განხორციელება ან იდეის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობა/ქმედება **არ უნდა წარმოადგენდეს პოტენციურ ეკოლოგიურ საფრთხეს გარემოსათვის;**
- ❖ იდეის განხორციელებამ **არ უნდა გამოიწვიოს კონფლიქტური სიტუაცია მოსახლეობის ჯგუფებს შორის.**

სასურველია, თუკი წარმოდგენილი იდეა დაკავშირებული იქნება უკვე განხორციელებული პროექტის/ინიციატივის გაფართოებასა და გაუმჯობესებასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი მდგრადობა.

ბიუჯეტი:

- იდეის ღირებულება შეიძლება მერყეობდეს 2,000-დან 5,000 ლარამდე;
- მიმდინარე (ოპერაციული) ხარჯების ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 30%-ს.

როგორ შევავსოთ იდეის წარმოდგენის ფორმა

- ❖ იდეის ავტორმა თანდართული იდეის ფორმა უნდა შეავსოს მითითებული ინსტრუქციების შესაბამისად (ინსტრუქციები იხილეთ თანდართულ ფორმაში)

როგორ მოხდება შემოტანილი იდეების განხილვა და შეფასება

- ❖ წარმოდგენილი იდეის განაცხადი შემოწმდება სისრულესა და შერჩევის ზოგად კრიტერიუმებთან შესაბამისობაზე. არასრულყოფილად შევსებული განაცხადები ან იდეები, რომლებიც არ შეესაბამება შერჩევის კრიტერიუმებს, არ განიხილება;
- ❖ იდეების განხილვა მოხდება მითითებული ეტაპებისა და პროცედურების შესაბამისად;
- ❖ ბიუჯეტში სასურველია აისახოს იდეის ავტორის ფულადი ან არაფულადი თანამონაწილეობა. ეს შეიძლება იყოს: მომსახურების, იჯარის, ტრანსპორტის ღირებულება; უძრავი ქონება ან უკვე არსებული ინიციატივის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობები და ა.შ.
- ❖ იდეების განხილვის კომიტეტი არ განიხილავს წარმოდგენილ იდეას, თუ იგი არ დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ თუნდაც ერთ პირობას:
  - თუ თანდართული იდეის შემოტანის ფორმაში არსებულ რომელიმე შეკითხვაზე არ არის პასუხი გაცემული/არასრულად არის გაცემული;
  - იდეა არ არის პირდაპირ ან ირიბად მიმართული COVID19-ით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის შემცირებაზე;
  - იდეა შეიცავს ზიანის და/ან კონფლიქტის წარმოშობის/გაღვივების რისკს და არ არის მითითებული აღნიშნული რისკის შემცირების სტრატეგია

თუ იდეა აკმაყოფილებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირობას, მისი შეფასება მოხდება შემდეგი ქულათა სისტემის მიხედვით:

#	განაცხადის სექციები	შეფასება	კომენტარი
I	იდეის აღწერა, მიზანი და შედეგები	1-30	30 - წარმოდგენილ ფორმაში ნათლად არის ასახული იდეის აღწერა, მისი მიზანი და მოსალოდნელი შედეგები. ასევე გამოკვეთილია COVID19 პანდემიით გამოწვეულ პრობლემა და მისი მისი გადაჭრის გზები
II	იდეის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები	1-20	20 - მითითებულია აქტივობები, რომელთა განხორციელებითაც იგეგმება იდეის მიზნების მიღწევა.
III	სამიზნე მოსახლეობა	1-20	20 - წარმოდგენილ იდეაში განსაზღვრულია სამიზნე ჯგუფები, დაკონკრეტებულია რაოდენობები, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მოსარგებლეებისათვის.
IV	გამოცდილება	1-10	10 - იდეის ავტორს აქვს მსგავსი საქმიანობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება, რაც ასახულია იდეის განაცხადის ფორმაში.
V	პროექტის ბიუჯეტი	1-20	20 - ბიუჯეტში ხარჯების კატეგორიები და მიზნობრიობა შესაბამისობაშია დაგეგმილი აქტივობების განხორციელებასთან.

იდეამ, რომელიც იქნება არჩეული, უნდა დააგროვოს 80 ან მეტი ქულა.

<u>საკონტაქტო ინფორმაცია:</u>	**ქეა კავკასია - თბილისი, შალვა ნუცუბიძის #14** ტელ: +995 32 2291378	
საკონტაქტო პირები:	**თამარ ქასრაშვილი**	ტელ: 599 94 94 04
	თათია გეთია	ტელ: 599 32 90 18
იდეის გამოგზავნა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:	Tamar.Kasrashvili@care.org Tatia.Getia@care.org	

CARE ნულოვან ტოლერანტობას აცხადებს სექსუალურ შევიწროების, ექსპლუატაციის და ბავშვებთან სასტიკი მოპყრობისადმი. CARE მოითხოვს, რომ თანამშრომლებმა, მოხალისეებმა, მომწოდებლებმა, მშობელმა/შვილობილმა კომპანიებმა და ფილიალებმა, ასევე ქვეკონტრაქტორებმა, არ გამოიყენონ და არ ჩაერთონ, აგრეთვე, არ მისცენ თავიანთ თანამშრომლებსა და სხვა პიროვნებებს უფლება გამოიყენონ ან ჩაერთონ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ქმედებაში: ძალადობის მუქარა, სიტყვიერი ან ფსიქოლოგიური შევიწროება ან შეურაცხყოფა და/ან სექსუალური ექსპლუატაცია.

დანართი 2: იდეის წარდგენის ფორმა

თარიღი (დღე/თვე/წელი) /_____/_____/_____/

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

განმცხადებელი ორგანიზაციის სახელწოდება	
რეგისტრაციის ნომერი:	
განმცხადებლის იურიდიული მისამართი:	
ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია:	სახელი, გვარი: მობ: ელ. ფოსტა:

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

იდეის სახელწოდება	
იდეის ტიპი *(მონიშნეთ შესაბამისი)*	● ახალი ინიციატივა ● არსებული ინიციატივის ნაწილი
სექტორი *(მიუთითეთ სექტორი, რომელსაც წარმოდგენილი იდეა ეხება: მაგ. განათლება, ჯანდაცვა, ტურიზმი, გარემოს დაცვა და ა.შ);*	
პროექტის სამიზნე არეალი *(სოფელი, დაბა, ქალაქი, რეგიონი)*	
იდეის ჯამური ღირებულება *(გთხოვთ, მიუთითეთ, რა თანხა სჭირდება პროექტის განხორციელებას)*	_____ (ლარი)
პროექტის დაწყების/დასრულების თარიღი	

ნაწილი II. ინფორმაცია წარმოდგენილი იდეის შესახებ

1. იდეის აღწერა, მიზანი და შედეგები (30 ქულა)

(***ინსტრუქცია:*** *აღწერეთ თქვენი იდეა. თუ უკვე დაწყებული გაქვთ საქმიანობა, მაშინ აღწერეთ დღევანდელი მდგომარეობა. მიუთითეთ რა კონკრეტულ მიზანს ისახავს წარმოდგენილი იდე. და COVID19 პანდემიით გამოწვეულ რომელ პრობლემას პასუხობს იგი? როგორ აპირებთ ამ პრობლემის ემცირებას/აღმოფხვრას? (მაქს 250 სიტყვა)*

2. იდეის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები (20 ქულა)

*(**ინსტრუქცია:**, აღწერეთ ის კონკრეტული აქტივობები, რომელთა განხორციელებითაც გეგმავთ იდეის მიზნების მიღწევას (მაგ. საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, ტექნიკური აღჭურვა, მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლება, და ა.შ.) გთხოვთ, ასევე მიუთითეთ იდეის აქტივობების განხორციელების ვადები კვირების მიხედვით, გამოიყენეთ მოცემული ფორმატი)*

#	დაგეგმილი აქტივობა	კვირა					
		1	2	3	4	5	6
1							
2							
3							

3. სამიზნე მოსახლეობა (20 ქულა)

*(**ინსტრუქცია:** მიუთითეთ ინფორმაცია წარმოდგენილი იდეის სამიზნე <u>პირდაპირი და</u> <u>არაპირდაპირი</u> მოსარგებლეების შესახებ. <u>პირდაპირ მოსარგებლედ</u> მოიაზრებიან ის ადამიანები, რომლებიც უშუალო სარგებელს იღებენ და/ან თავად მონაწილეობენ იდეის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში. <u>არაპირდაპირი მოსარგებლეები</u> კი არიან ის ადამიანები, რომლებიც სარგებელს იღებენ იდეის განხორციელებით მიღწეული შედეგ(ებ)იდან.*

ა) პირდაპირი მოსარგებლეებისათვის დააზუსტეთ ქვემოთ მოცემული კატეგორიები და თითოეული მონიშნული კატეგორიისთვის მიუთითეთ მონაწილეთა რაოდენობა.

ბ) არაპირდაპირი მოსარგებლეებისათვის მიუთითეთ მათი საერთო რაოდენობა (სავარაუდო) და დააზუსტეთ რამდენია მათ შორის ქალი (თუ ეს შესაძლებელია)

მოსარგებლეთა ტიპი	**სამიზნე ჯგუფის დასახელება** (მონიშნეთ შესაბამისი კატეგორიები)	**რაოდენობა**

1. პირდაპირი მოსარგებლეები	1. მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსახლეობა	
	2. მათ შორის ეთნიკური უმცირესობები	
	3. მათ შორის მაღალმთიანი/ რეგიონული ცენტრიდან დაშორებული თემების მოსახლეობა	
	4. სხვა (მიუთითეთ) _____	
	სულ პირდაპირი მოსარგებლე	
2. არაპირდაპირი მოსარგებლეები (დააკონკრეტეთ) _____		
მათ შორის ქალი:		

4. გაქვთ თუ არა მსგავსი საქმიანობის განხორციელების გამოცდილება? (10 ქულა)

(ინსტრუქცია: *მიუთითეთ იდეის განხორციელებისათვის საჭირო თქვენი შესაბამისი გამოცდილება) (მაქს 50 სიტყვა)*

5. პროექტის ბიუჯეტი (20 ქულა)

*(გთხოვთ, შეავსოთ თანდართული ბიუჯეტის ექსელის ფორმა (*დანართი 3*).*